



საქართველოს მთავრობის დადგენილება

№490 2021 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2020, 470000000.10.003.022551) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №20 დანართის („ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“):

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ ქვეპუნქტი:

„უ) 60 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობაში (ე. წ. სამიზნე მოსახლეობა) ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის საწინააღმდეგო

ვაქცინაციის გაფართოების ხელშემწყობი ღონისძიებების – COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პოპულარიზაციის მიზნით, ოჯახის/უბნის/სოფლის ექიმისა და ექთნის მიერ სამიზნე მოსახლეობის აცრისწინა ჩაღრმავებულ კონსულტაციას.“.

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) „უ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება ანაზღაურდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 20 ლარისა (მ. შ. არანაკლებ 80%-ისა – სახელოფასო ფონდი, 20% – ადმინისტრაციული ხარჯი). ამასთან, ექიმისა და ექთნის მიერ კონსულტაციის შედეგად სამიზნე მოსახლეობის:

მ.ა) პირველი დოზით აცრის შემთხვევაში – ანაზღაურება განისაზღვრება 10 ლარით;

მ.ბ) მეორე დოზით აცრის შემთხვევაში – ანაზღაურება განისაზღვრება 10 ლარით.“.

3. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის მე-3 მუხლის „გ“ და „უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.“.

4. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) „უ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელია:

ზ.ა) საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება;

ზ.ბ) „სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამის სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება;

ზ.გ) ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი – „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამის სოფლის ექიმის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი სოფლის ექიმისა და ექთნის მეშვეობით.“.

5. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ (2021 წლის 1 მარტამდე), „გ“, „გ¹“, „დ“ (2021 წლის 1 მარტამდე), „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“ (2021 წლის 1 მარტამდე), „ი“ და „უ“ ქვეპუნქტების განმახორციელებელია სააგენტო.“.

6. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 პუნქტი:

„19. მე-3 მუხლის „უ“ ქვეპუნქტით:

ა) განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლებად ავტომატურად ითვლებიან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებები და ასევე „სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები;

ბ) განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ ჯანდაცვის ერთიანი ელექტრონული სისტემის იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში ბენეფიციარებისა და მათთვის ჩატარებული კონსულტაციის თაობაზე ინფორმაციის სრულად აღრიცხვა;

გ) განსაზღვრულ მომსახურებასთან დაკავშირებული ადმინისტრირების წესი და პირობები მტკიცდება სააგენტოს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი